მოძრავი ნივთების ნასყიდობის ხელშეკრულება N12

მუხლი 1. ხელშეკრულების დადების ადგილი და დრო
წინამდებარე ხელშეკრულება (შემდგომში "ხელშეკრულება") დადებულია ქ. თბილისში, 2015 წლის 13 ოქტომბერი. (CPV-30200000)

მუხლი 2. ხელშეკრულების მხარეთა იურიდიული სტატუსი
წინამდებარე ხელშეკრულების მხარეები არიან:
ერთის მხრივ, შპს "ალტა", მდებარე ქ.თბილისი, ხიზანიშვილის 3, ს/კ 211380691, წარმოდგენილი მისი დირექტორის, კახა ჭოველიძის მიერ, შემდგომში "გამყიდველი"
და
მეორეს მხრივ, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სოფელ სნოს საჯარო სკოლა ,მდებარე ყაზბეგი სოფ.სნო ს/კ 241495958, წარმოდგენილი მისი დირექტორის, ტარიელ ფირანიშვილის მიერ, „მყიდველი", პირადი N44001004202

მუხლი 3. გასაყიდი ქონება და მისი გაყიდვის ძირითადი წესი

3.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე გამყიდველი ვალდებულია მფლობელობაში და საკუთრებაში გადასცეს მყიდველს დანართ №1-ში მოცემული მოძრავი ნივთები (შემდგომში "ქონება"), აგრეთვე მასთან დაკავშირებული საბუთები და საგარანტიო სერტიფიკატები.

3.2. ქონების შესყიდვა მყიდველის მიერ ხორციელდება გამყიდველისთვის ხელშეკრულების მე-7 მუხლის შესაბამისად მოთხოვნის წარდგენის შემთხვევაში.

3.3. გამყიდველი გადასცემს მყიდველს ქონებას 700.20 (შვიდასი ლარი და20 თეთრი) ლარის ღირებულების ქონებას ხელშეკრულებით განსაზღვრული წესით.

3.4. მყიდველი ვალდებულია მიიღოს ქონება და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულების მე-6 მუხლში მოცემული წესით.

მუხლი 4. გამყიდველის უფლებამოსილება ქონებაზე
გამყიდველი აცხადებს და ადასტურებს, რომ იგი არის ქონების მესაკუთრე.

მუხლი 5. ქონების ხარისხი

5.1. გამყიდველი მყიდველს საკუთრებაში გადასცემს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო ქონებას.

5.2. უფლებრივად უნაკლო ქონების ქვეშ მხარეები გულისხმობენ იმას, რომ ქონება თავისუფალია ყოველგვარი უფლებრივი დატვირთვისაგან, არ არის დაგირავებული და მესამე პირებს, მათ შორის სახელმწიფო ორგანოებს, არ შეუძლიათ წაუყენონ მოთხოვნები მყიდველს ქონების საკუთრების და მფლობელობის უფლებიდან გამომდინარე.

5.3. ნივთობრივი უნაკლოობა გულისხმობს, რომ ქონება შეესაბამება ხელშეკრულების №1 დანართში მოცემულ მონაცემებს და ვარგისია ჩვეულებრივი გამოყენებისათვის.

5.4. გამყიდველი გადასცემს მყიდველს შესყიდული ქონების საგარანტიო სერტიფიკატებს, რაც უზრუნველჰყოფს ქონების საგარანტიო მომსახურებას როგორც მყიდველის, ისე იმ მესამე პირებისთვის, რომლებმაც ქონება მყიდველისაგან შეიძინეს. ასეთ მესამე პირებზე ვრცელდება მყიდველისათვის მიცემული ანალოგიური საგარანტიო პირობები.

მუხლი 6. ქონების ღირებულების გადახდის წესი.

6.1. მყიდველი ვალდებულია გადაუხადოს გამყიდველს მის მიერ ნაყიდი ქონების ღირებულება ხელშეკრულების 7.5 პუნქტში მოცემულ სასაქონლო ზედნადებზე ან მიღება-ჩაბარების აქტზე მხარეთა ხელმოწერიდან 3(სამი) დღის ვადაში.

6.2. ქონების ფასი მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების დანრთ №1-ში. გადახდა წარმოებს ლარში.

6.3. გასაყიდი ქონების საბაზრო ფასის ცვლილების შემთხვევაში, გამყიდველს უფლება აქვს შესაბამისად შეცვალოს მისი ღირებულება. ცვლილება არ შეეხება იმ ქონებას, რომელზეც უკვე გამოიწერა ზედნადები. გამყიდველი ატყობინებს მყიდველს ქონების ფასის ცვლილების შესახებ. ფასის ცვლილება არ საჭიროებს მყიდველის თანხმობას.

6.4. მყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში, გამყიდველი ვალდებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით, წარუდგინოს მყიდველს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.

მუხლი 7. ქონების შესყიდვის მოთხოვნა და მიწოდება

7.1. გამყიდველი ვალდებულია მიაწოდოს მყიდველს ქონება მყიდველის მოთხოვნიდან 3 დღის ვადაში.

7.2. ქონების შესყიდვის მოთხოვნა შედგენილი უნდა იყოს წერილობითი ფორმით ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით ან კომპანიის ვებპორტალის მეშვეობით და უნდა შეიცავდეს ინფორმაციას შესასყიდი ქონების მახასიათებლებისა და ოდენობის შესახებ.

7.3. მყიდველს უფლება აქვს მოითხოვოს გამყიდველისგან ქონების ან მისი ნაწილის შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერიდან 3 დღის განმავლობაში. ვადის გასვლის შემდეგ გამყიდველს უფლება აქვს არ გადასცეს მყიდველს მოთხოვნილი ქონება.

7.4. გამყიდველს უფლება აქვს არ გადასცეს მყიდველს საკუთრებაში ქონება ან მისი ნაწილი, თუ მოთხოვნის დროისთვის, მას საკუთრებაში არ ექნება ასეთი ქონება.

7.5. ქონების მყიდველზე გადაცემისას მოხდება სასაქონლო ზედნადებზე (შემდგომში "ზედნადები") ან მიღება-ჩაბარების აქტზე მხარეთა ხელმოწერა, რაც ადასტურებს ქონების მყიდველის მფლობელობაში და საკუთრებაში გადასვლას.

მუხლი 8. ქონების ხარისხის შემოწმება და პრეტენზიების წარდგენა

8.1. მყიდველი ვალდებულია ქონების საკუთრებაში და მფლობელობაში მიღებისას შეამოწმოს მისი ხარისხი. თუ ქონება შეესაბამება ხელშეკრულების მე-5 მუხლში მოცემულ პირობებს, ქონება ჩაითვლება უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლოდ.